დამტკიცებულია

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯის'
დირექტორის 2021 წლის 20 სექტემბერი ბრძანება
N01/5

ცვლილებები განხორციელდა აკადემიის
დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N155448
ბრძანებით

დანართი 13

# შპს „გეოგლობალ აკადემიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

მარნეული

2021

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე საზოგადოებასთან ურთიერთიერთობისა და კომუნიკაციის წესი(შემდგომში - წესი) განსაზღვრავს შპს გეოგლობალ აკადემიის (შემდგომში - აკადემია) საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიას, რაც უზრუნველყოფს აკადემიის მიზნებისა და იდეების გავრცელებას და კომუნიკაციას საზოგადოებასთან .

1.2. აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობებს წარმართავს და მასზე პასუხისმგებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი, რომელიც თავის საქმიანობაში ხელძღვანელობს აკადემიის დებულებითა და წინამდებარე წესით.

## მუხლი 2. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის პოლიტიკის ძირითადი მიზნები

2.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის პრაქტიკა ეხმარება აკადემიას საზოგადოებასთან ეფექტური ურთიერთობების დამყარებას, ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი ზრუნავს აკადემიის რეპუტაციასა და მისი იმიჯზე, ქმნის კეთილგანწყობილ, პოზიტიურ სივრცეს დაინტერესებულ მხარეებისათვის.

2.2. აკადემიას შემუშავებული აქვს ხედვა, მისია, ღირებულებები და გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რაც ამკვიდრებს და აყალიბებს აკადემიის კორპორაციულ კულტურას.

2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის მისიაა

- ✓ სანდო ინფორმაციის მიღება-გავრცელების უზრუნველყოფა;
- ✓ ახალი ურთიერთობების დამყარება და საზოგადოებასთან უშუალო კონტაქტი;
- ✓ დაინტერესებული პირების ჩართულობა.

2.4. საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიზნებია:

- ✓ საზოგადოებაში აკადემიის ცნობადობის ხარისხის ამაღლება;
- ✓ მიმდინარე და დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდა.
- ✓ საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სტრატეგიის პროექტების შემუშავება;
- ✓ აკადემიის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ✓ პროფორიენტაციის კამპანიის წარმართვა;
- ✓ ადეკვატური სარეკლამო და საინფორმაციო კამპატიენიების წარმოება როგორც პირდაპირი გზით, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ✓ სანდო საინფორმაციო და სარეკლამო მასალების მომზადება და გავრცელება როგორც პირდაპირი გზით, ასევე სოციალური ქსელის მეშვეობით;
- ✓ ახალი ურთიერთობების დამყარება;
- ✓ მიზნობრივი შეხვედრების გამართვა ცნობადობის ამაღლების მიზნით;
- ✓ ინტერნეტ ფეჯაგშირის მექანიზმების გაძლიერება;

- ✓ უწყვეტი კომუნიკაცია დაინტერესებულ პირებთან;
- ✓ კომუნიკაციის წყაროების გაუმჯობესება და სამიზნე ჯგუფზე მორგება.

2.5. საზოგადოებასთან ურთიერთობა არის მუდმივად განახლებადი და განვითარებადი პროცესი, რადგან აკადემიაში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის.
2.6. აკადემიას აქვს საკუთარი ვებგვერდი და ფეისბუქგვერდი, რომელთა მეშვეობითაც გამოქვეყნებული უნდა იქნას ყველა ის სიახლე და სანდო ინფორმაცია, რაც აკადემიის პოპულარიზაციის საფუძველია. სიახლეს შეიძლება ჰქონდეს როგორც წერილობითი, ასევე პოსტერის ან ვიდეოს ფორმა. აღნიშნულ სიახლეებს ძირითადად წარმოადგენს:

- ✓ აკადემიაში განხორციელებული შიდა ცვლილებები;
- ✓ სტუდენტური აქტივობები;
- ✓ აკადემიის სოციალური პასუხისმგებლობისთვის;
- ✓ დასაქმება - სწავლების შესაძლებლობები;
- ✓ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა რეგისტრაცია-განაცხადების მიღების გამოცხადება;
- ✓ მნიშვნელოვან აქტივობათა დაანონსება;
- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორულ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები;
- ✓ საქველმოქმედო ღონისძიებები;
- ✓ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წარმატებული ისტორიები
- ✓ და სხვა

2.7. სიახლე უნდა გამოქვეყნდეს კონკრეტული აქტივობის ჩატარების დღიდან 3 დღის განმავლობაში. დაგეგმილი აქტივობის დაანონსების შემთხვევაში კი სიახლე უნდა გამოქვეყნდეს აღნიშნული აქტივობის განხორციელებამდე შესაბამისი დროით ადრე.
2.8. სიახლეს უნდა ახლდეს ლოგო ან/და ფოტო (საპერსონიფიკაციო), რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება აქცენტირება და მუდმივი კავშირი აკადემიასთან. როდესაც ფოტოს გადაღებისას მასზე აისახება კონკრეტულ პირი, აუცილებელია აღნიშნული პირის წინასწარი წერილობითი თანხმობა.
2.9. თუკი აკადემია კონკრეტულ აქტივობას სხვა დაწესებულებასთან/ორგანიზაციასთან პარტნიორობის ფარგლებში ახორციელებს, ხსენებული აქტივობის შესახებ სიახლის გაზიარება განხორციელდება აღნიშნული დაწესებულების/ორგანიზაციების ვებგვერდების ან/და სოციალური ქსელების მეშვეობითაც. აგრეთვე, ნებისმიერი სიახლე, რომელიც უკავშირდება სწავლებას, დასაქმებას ან ზოგადად დაწესებულებას, შესაძლებელია გაზიარებულ იქნას სხვა დაწესებულებათა/ორგანიზაციათა (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, მასწავლებელთა სახლი და სხვა) ვებგვერდების ან/და სოციალური ქსელების მეშვეობით.
2.10. სპეციფიკური ენის მქონე სიახლეები უნდა გადამოწმდეს შესაბამის სპეციალისტთან, შეცდომის ან გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით.
2.11. ნებისმიერი ინფორმაციის გასაჯაროებისას გათვალისწინებული უნდა იქნას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

## მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

3.1. წინამდებარე წესი მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

3.2. წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.